



უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამების განხორციელების წესი

თარიღი	ივლისი 2019
თავი	0
გვერდი	1/12
ცვლილება	0

„დამტკიცებულია“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი

 რეზინაძე


08 08 2019

დადგენილება № 08



საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელების წესი

ძირითადი ასლი

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/12
		ცვლილება	0

1 სარჩევი

1	სარჩევი	2
i.	ცვლილებები	3
ii.	ცვლილებების ისტორია	4
iii.	მოქმედი გვერდების სია	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი	6
3	ძირითადი ნაწილი	7
	მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება და აკრედიტაციაზე წარდგენა	7
	მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება	9
	მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია	10
	მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება	11
	მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	12




i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
<i>ფ. ციციანიძე</i>	<i>ს. ციციანიძე</i>
თარიღი:	თარიღი:
27.12.2019	27.12.2019

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
i,ii,iii	3,4,5,8	0	27.12.2019	i,ii,iii	3,4,5,8	1	27.12.2019


	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/12
		ცვლილება	0

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია


ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	7/12
		ცვლილება	0

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება და აკრედიტაციაზე წარდგენა

1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მიზნით:
 - 1.1. უნივერსიტეტის რექტორი, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს ან
 - 1.2. ფაკულტეტის დეკანი წერილობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.
2. 1.1 პუნქტის შემთხვევაში, ფაკულტეტი შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად იკვლევს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს და შედეგებს წარუდგენს რექტორს.
3. ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს პროგრამის განხორციელებაზე უფლების მოპოვების (აკრედიტაციის მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში) განაცხადის წარდგენამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე.
4. ფაკულტეტის დეკანის წინადადებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების შესახებ, თან უნდა ერთვოდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ან/და შრომის ახალი ბაზრის/მიმართულების შექმნის/ათვისების კონცეფცია, რომელიც უნივერსიტეტისათვის ქმნის დამატებით ღირებულებას.
5. უნივერსიტეტის რექტორი, მმართველი საბჭოს ფარგლებში, გონივრულ ვადაში განიხილავს ფაკულტეტის დეკანის წინადადებას/ჩატარებული კვლევის შედეგებს და აცხადებს თანხმობას პროგრამის შემუშავების დაწყებაზე ან მოტივირებულ უარს.
6. ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს, ხელმძღვანელობს წინამდებარე წესისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით.
7. ფაკულტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შემუშავებას და აკრედიტაციის მისაღებად მოსამზადებელ პროცესს ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
8. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის ფაკულტეტს აძლევს მიმართულებებს, წარუდგენს მოტივირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის მიზნით.
9. ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენამდე არაუგვიანეს 2 თვისა, აწვდის შემდეგ დოკუმენტაციას :
 - 9.1. საგანმანათლებლო პროგრამა;
 - 9.2. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - 9.3. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - 9.4. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები (წარდგენის მომენტში არსებული სახით);
 - 9.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში დოქტორანტების მიერ დაცულ დისერტაციათა ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში).
10. მე-9 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისა და აკრედიტაციაზე წარდგენის მიზნით, ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელშიც მონაწილეობენ შემდეგი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი სუბიექტები:
 - 10.1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;
 - 10.2. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელად/თანახელმძღვანელად წარდგენილი პირი;
 - 10.3. რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/12
		ცვლილება	1

10.4. რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში (შესაბამისი პროგრამის შემთხვევაში);

10.5. რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

10.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

10.7. საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი;

10.8. ადამიანური რესურსების მენეჯერი;

10.9. ფინანსური სამსახურის უფროსი;

10.10. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

11. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ასევე მონაწილეობს:

11.1. მსგავსი ან/და მონათესავე პროგრამის სტუდენტი;

11.2. მსგავსი ან/და მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებული;


11.3. პოტენციური დამსაქმებელი.

12. თვითშეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ, შესაბამისი ფაკულტეტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, უნივერსიტეტის მმართველი საბჭო გამოსცემს დადგენილებას საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხელმძღვანელის (ან/და თანახელმძღვანელის) დამტკიცების შესახებ.

13. მე-2 მუხლში აღნიშნული ვადის გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამზადებს სააკრედიტაციო განაცხადს და უზრუნველყოფს მის წარდგენას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.


14. პროგრამის განხორციელებაზე უფლების მოპოვების (აკრედიტაციის) შემდეგ, ფაკულტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა.

შენიშვნა: მსგავს პროგრამებად ითვლება უმაღლეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში ერთი დარგის/სპეციალობის ქვეშ გაერთიანებული პროგრამები. მონათესავე პროგრამებად ითვლება უმაღლეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში ერთი მიმართულების ქვეშ გაერთიანებული პროგრამები.

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	ივლისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	9/12
		ცვლილება	0

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის ან/და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამული ცვლილებების ინიცირების უფლება აქვს ფაკულტეტის დეკანს და ფაკულტეტის საბჭოს სხვა წევრებს.
2. პროგრამული ცვლილებების პროექტის წარდგინებას ახდენს ფაკულტეტის დეკანი ელექტრონული სახით, ინიციატორის/ინიციატორთა ჯგუფის მითითებით.
3. პროგრამული ცვლილებების პროექტი ეგზავნება რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტის პროგრამის შემთხვევაში - ასევე მოადგილეს საფრენოსნო მომზადების დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ფინანსური სამსახურის უფროსს.
4. ამ თავის მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები, ახდენენ წარმოდგენილ ცვლილებებზე თანხმობის დადასტურებას, ხოლო თუ არ ეთანხმებიან, აფიქსირებენ მოტივირებულ შენიშვნა/მოსაზრებას ცვლილებების პროექტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.
5. ამ თავის მე-4 პუნქტში დადგენილი პროცედურის გავლის შემდეგ, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ცვლილებების პროექტს და უფლებამოსილი პირ(ებ)ის კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. პროგრამული ცვლილებების პროექტზე განსხვავებული მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, აზრთა შეჯერების მიზნით, შესაძლოა მოწვეულ იქნას მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.
7. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საბოლოო სახით, აისახება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში.
8. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვის მიზნით, ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, რომელსაც თან უნდა ერთოდეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი, უფლებამოსილი პირების თანხმობები და განახლებული პროგრამა.
9. ამ თავის მე-8 პუნქტით აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცების შესახებ.
10. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემისთანავე, ბრძანება ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს, რექტორის მოადგილეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
11. ფაკულტეტის მიერ პროგრამული ცვლილებების შესახებ ბრძანების გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ფაკულტეტი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამა განახლებული (საბოლოო) სახით ატვირტოს ელექტრონულ ბაზაში.
12. თუ საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების ან/და სტრუქტურის (ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტების დამატება ან/და ამოღება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტისათვის მინიჭებული კრედიტების ცვლილება, მოდულის დამატება ან/და ამოღება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის დამატება ან/და ამოღება) ცვლილებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ვალდებულია მოამზადოს წერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელზე და დაურთოს საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.


	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	10/12
		ცვლილება	1

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ვადის ამოწურვის დროს, ხელახალი აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესი წარმართება წინამდებარე წესის მუხლი 1-ის 7-12 პუნქტების მიხედვით.


2. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია დააყენოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის საკითხი, თუ ფაკულტეტის მიერ პროგრამული ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი განაცხადით იცვლება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მაინც:

- 2.1. სწავლების ენა;
- 2.2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- 2.3. ხდება მისი სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანება;
- 2.4. ხდება საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფა.

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	11/12
		ცვლილება	1

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის შეცვლის ან მისი გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისმა ფაკულტეტმა წერილობითი სახით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და წარუდგინოს მოტივირებული გადაწყვეტილება.
2. საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში გადასვლის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი. რექტორი უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე მიიღოს საკუთარი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.
3. მიღევად პროგრამაზე სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მიერ პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობა.
4. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაზე არსებული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება მიმდინარე პროგრამასთან თავსებადობის ან უნივერსიტეტში სხვა მოქმედი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნით.
5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ შესაბამისი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ინფორმაცია, წერილობითი სახით უნდა ეცნობოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	12/12
		ცვლილება	1

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
2. თითოეული ფაკულტეტი, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, ახდენს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებას და ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო წლის 30 ივლისისა.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ, თვითშეფასების ანგარიშს (ანგარიშებს) წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
4. პროგრამის ხარისხის და ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ფაკულტეტი ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ შეფასებას, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.
5. პროგრამის პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.
6. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია, მოტივირებული წინადადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ხარისხის გარე შეფასების განხორციელება (გარე ექსპერტიზა).